



კატაქცია „ხამთხი“

შაჰაფხანა

— 1939 —

გეორგია



სამეფო სამოსის სამკაულად
გარდაქმნის ხელოვნება

საიუველირო სახლი „ზარაფხანა“ 1939 წლიდან ემსახურება მისიას, ღირსეულად წარმოაჩინოს საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა და შეინარჩუნოს ის საოქრომჭედლო ტრადიციები, რომლებიც მრავალსაუკუნოვანი წარსულიდან მოდის. სწორედ ეროვნულ მოტივებზე და საოქრომჭედლო ხელოვნების მაღალ დონეზე შეიქმნა ახალი კოლექცია „სამოსი“, რომელიც ინსპირაციას ქართველი მეფეებისა და დედოფლების ძვირფასი სამოსიდან იღებს.

“საქართველოს ხელოვნების სასახლესთან” თანამშრომლობით შექმნილი უნიკალური კოლექცია უმაღლესი ხარისხის ოქროს, ცივი მინაქრისა და ბუნებრივი ქვების კომბინაციით გადმოსცემს სამეფო ქსოვილის დახვეწილ ესთეტიკას. გამორჩეული დიზაინის მქონე სამკაული ოსტატურად იმეორებს დიდგვაროვანთა სამოსის ორნამენტებსა და ფერებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს „ზარაფხანას“ იუველირების პროფესიონალიზმსა და მრავალწლიან გამოცდილებას.

ისტორიული ქსოვილის სიმბოლოების სამკაულში გადმოტანით „ზარაფხანა“ უნივერსალურად ხელმესახებს ხდის ქართული კულტურის სიდიადესა და საუკუნეების წინანდელ მეფე-დედოფლების საამაყო ისტორიას.

THE ART OF TRANSFORMING ROYAL ATTIRE INTO WORK-OF-ART JEWELRY
PIECES

Since 1939, the jewelry brand Zarapxana has been devoted to the mission of representing Georgia's rich cultural heritage and centuries-old goldsmithing tradition. The new collection too is centered around national motifs and draws inspiration from the precious attire of Georgian monarchs.

Created in collaboration with the Art Palace of Georgia, the unique collection embodies the refined aesthetics of the royal fabric by combining the highest quality gold, cold enamel, and natural stones. It delicately repeats the ornaments and colors of the royal attire, once again demonstrating the unparalleled professionalism and expertise of the brand's jewelers.

By featuring patterns of national fabric in jewelry pieces, Zarapxana pays a graceful homage to the splendor of Georgian culture and its historical past.



ინსპირაცია დედოფალ მარიამ დადიანის სამოსიდან



ოქროში შესრულებული კოლექციის ინსპირაცია XVII საუკუნეში მოღვაწე ქართლის დედოფალი მარიამ დადიანი გახლავთ, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის მართლმადიდებლობის განმტკიცებასა და ქართული კულტურის აღორძინებაში. წარმოდგენილი სამკაულის ვიზუალური მხარე შთაგონებულია სვეტიცხოვლის ფრესკაზე გამოსახული მრავალფეროვანი სამოსის ელემენტებით. ბუნებრივი ქვები აქატი, მარჯანი და ცივი მინანქარი სწორედ ირანული ტექსტილისთვის დამახასიათებელ ფერთა ტონალობასა და ყვავილოვან ორნამენტებს ეხმიანება.

აღსანიშნავია, რომ განსწავლულობისა და დიპლომატიური ნიჭის წყალობით, დედოფალი დიდ გავლენას ახდენდა მისი მეუღლის როსტომ ხანის მმართველობაზე. მარიამის ძალისხმევით აღდგა მტრების შემოსევების დროს დანგრეული ეკლესია-მონასტრები, შეგროვდა და გადაინერა მნიშვნელოვანი ქართული ხელნაწერები (მათ შორის, „ქართლის ცხოვრება“), აყვავდა სოფლები და განვითარდა სამეფოს ინფრასტრუქტურა.

INSPIRED BY THE ATTIRE OF QUEEN MARIAM DADIANI

The collection is dedicated to Mariam Dadiani, the queen consort of Kartli in the XVII century, who contributed enormously to the protection of Orthodox Christianity and the revival of Georgian culture. The visual qualities of the gold jewelry draw inspiration from the multicolor attire depicted on the fresco of the Svetitskhoveli Cathedral. Specifically, natural coral stone and cold enamel indicate the characteristic shades and floral ornaments of Iranian textile.

Due to her political adroitness and brilliant diplomatic skills, the queen greatly influenced the rule of her husband Rostom Khan. Thanks to her efforts, villages flourished, numerous churches were repaired and important manuscripts (including The Georgian Chronicles) were collected and copied.



მარიამ დოლიძე

011497



011499



011498







ინსპირაცია თამარ მეფის სამოსიდან



ცივი მინანქრით მოხატული ოქროს კოლექცია შთაგონებულია თამარ მეფის საზეიმო სამოსელის მიხედვით, რომელიც ვარძიაში, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარშია გამოსახული. ფრესკაზე თამარი შემოსილი გახლავთ იისფერი ბისონით, რომელსაც მარგალიტით განწყობილი ზოლები კვეთს. წარმოდგენილ კოლექციაში სწორედ ის ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტები ფიგურირებს, რომლებიც ნატიფი ნაქარგების სახით ამჟვენებს მეფის ცერემონიულ ბისონს.

ჩვენი გუნდისთვის არანაკლებ შთამაგონებელი იყო საყელო (მანიაკი) და მისგან ვერტიკალურად დაშვებული არშია (ლოროსი). საგულისხმოა, რომ მანიაკიც და ლოროსიც განსაკუთრებით მდიდრულად ირთვებოდა მარგალიტებითა და ძვირფასი ქვებით. ამეთვისტოთი, ტოპაზითა და მარგალიტით შემკული ოქროს სამკაულით, „ზარაფხანა“ კიდევ ერთხელ აცოცხლებს ისტორიას და ღირსეულად გადმოსცემს თამარ მეფის სამოსის სიდიადეს.

INSPIRED BY THE ATTIRE OF QUEEN (KING) TAMAR

The gold collection pays tribute to the ceremonial robe of Queen (King) Tamar, depicted on the fresco at St Mary Church in Vardzia cave. The queen's violet attire showcases strips of pearls and is complemented with delicately embroidered ornaments, typical for Georgian architecture.

Our creative team was also inspired by the collar of the robe ('maniac') as well as the vertically positioned textile - lorum. Both the 'maniac' and lorum are richly decorated in pearls and precious stones.

Therefore, to match the grandeur of the costume, our jewelers used cold enamel and natural stones - amethyst, London blue topaz, and pearls. In this sumptuous collection, Zarapxana once again revives history and successfully conveys the aesthetic of the powerful ruler.



თამარ ბიჭვა


011465



011470



011474



011472



011467



011470

თამარ მეფე



011469



011468



011471





თამარ მუჟა



011466



011543



011473





ინსპირაცია დავით აღმაშენებლის სამოსიდან



ოქროს კოლექციის ინსპირაცია გახლავთ მუხის რკო, რომელიც გელათის მონასტერში გამოსახულ დავით აღმაშენებლის ფრესკაზე ფიგურირებს.

ბიზანტიური წარმომავლობის მდიდრული სამეფო სამოსელი, რომელიც დავით IV-ს აცვია, მოიცავს ბისონს, ლოროსსა და მანიაკს (საყელო). სწორედ ძვირფასი ქსოვილით შეკერილ ბისონს ამშვენებს მუხის რკოს ორნამენტები, რომლებიც „ზარაფხანამ“ სამკაულში ბუნებრივი ქვების ამეთვისტოსა და აქატის კომბინაციით წარმოადგინა.

მუხა ჯერ კიდევ წარმართული პერიოდიდან მიიჩნეოდა საკრალურ ხედ და მისი კულტი ქართველებს გაქრისტიანების შემდეგაც შემორჩათ. ის უძლეველობის, შეუდრეკელობისა და სიბრძნის სიმბოლო იყო, რომლის ნაყოფის გამოსახვა ნიშანდობლივად კია დავით აღმაშენებლის - ქვეყნის გამაერთიანებელი, უძლიერესი მონარქის სამოსზე.

INSPIRED BY THE ATTIRE OF DAVID THE BUILDER

The collection is inspired by acorn ornaments, depicted on the fresco of David the Builder in Gelati Monastery. The Byzantine royal attire worn by David IV includes a collar, a robe, and a lorum. Red acorn ornaments that embellish the precious fabric of the robe are represented in gold jewelry with a combination of amethyst and agate.

Oak had been considered a sacral element since pagan times, and its cult persisted after the conversion of Georgians to Christianity. It was a symbol of invincibility, resilience, and wisdom, making the acorn an apt adornment for the costume of the unifying, powerful king.





დავით აღმაშენებელი

011476


011477

011479





011481



011475



დავით აღმაშენებელი



ინსპირაცია ბექა ჯაყელის სამოსიდან



კოლექცია შეიქმნა ბექა ჯაყელის - სამცხის ათაბაგისა და საქართველოს მეფეთა მანდატურთუხუცესის (XIII-XIV სს.) სამოსელის ინსპირაციით, რომელიც საფარაში, წმინდა საბას ტაძრის ფრესკაზეა გამოსახული. მარგალიტით უხვად შემკულ წითელ კაბაზე ოქრომკედით გახლავთ ამოქარგული ბიბლიური ფრთოსანი არსების - ქერუბიმის გამოსახულება. წითელი და ლურჯი ქერუბიმები ფიგურირებს აბრეშუმის პერანგზეც, რომელიც, ტრადიციისამებრ, მოცემულ სამოსელზე გრძელი უნდა ყოფილიყო, რომ კაბას მისი მორთულობა არ დაეფარა. „ზარაფხანას“ ოქროში შესრულებული კოლექცია, ბუნებრივი ქვების მარჯანისა და ფირუზის კომბინაციით გადმოსცემს იმდროინდელი სამოსის დახვეწილ ესთეტიკას.

აღსანიშნავია, რომ ბექა ჯაყელი იყო გამორჩეული პოლიტიკური ფიგურა, რომელმაც შეადგინა სამართლის წიგნი („ბექას განაჩენი“), განამტკიცა სამცხის სამთავრო და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თურქული ტომებისგან საქართველოს დაცვაში.

INSPIRED BY THE ATTIRE OF BEKA JAQELI

The gold collection was inspired by the attire of Beka Jaqeli (XIII-XIV centuries) - the ruling prince of Samtskhe and Mandartukhutsesi of the Georgian kingdom. Depicted on the mural of Sapara Monastery, Jaqeli wears a richly decorated red dress, embellished with pearls and a golden-thread embroidery of a cherub, a celestial winged creature. Red and blue cherubim are also present on a silk shirt, which became a great source of inspiration for Zarapxana. By combining with natural stones (coral, turquoise), our team imitated the sophisticated style of the costume into jewelry pieces. It is noteworthy that the shirt was deliberately longer than the dress to showcase the delicate embroidery.

Beka Jaqeli was a prominent political figure who established the book of laws, strengthened the principality of Samtskhe, and made a significant contribution to the protection of the Georgian Kingdom.



ბეჰა ჯაყელი



011487



011486



011488





გაბაგრაჟის კოლექცია Gentleman's collection

ინსპირაცია ბაგრატ III-ის სამოსიდან



ბუნებრივი ქვებით შემკული კოლექცია შთაგონებულია საქართველოს პირველი გამაერთიანებელი მონარქის, ბაგრატ III-ის ცერემონიული სამოსით, რომელიც აღბეჭდილია ბედიის მონასტრის ფრესკაზე. მეფე შემოსილი გახლავთ მძიმე ქსოვილით შეკერილი მოყავისფრო-წითელი ბისონით, რომელსაც გარს აკრავს ძვირფასი თვლებით უხვად დატვირთული საყელო (მანიაკი) და სპეკალებით მოფენილი განიერი არშია (ლოროსი). განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კეთილშობილი ქვებით შემკული პომპეზური გვირგვინიც. შესაბამისად, „ზარაფხანას“ გუნდისთვის დიდი პატივი გახლდათ, შეგვექმნა სამკაული, რომელიც ღირსეულად გადმოსცემს ფრესკაზე გამოსახული მოკაზმულობის პატერნსა და მეფურ სიდიადეს.


INSPIRED BY THE ATTIRE OF BAGRAT III

The gold collection is inspired by the ceremonious attire of the first unifying monarch of Georgia, Bagrat III. Depicted on the mural in Bedia Monastery, the king is covered in a special brownish-red robe, complemented by a collar ('maniac') and a long strip of precious textile (lorum). Both the collar and the lorum display noble stones, also presented in the sumptuous crown of the king. By featuring natural stones, Zarapxana created jewelry that conveys the sophisticated style of the powerful ruler.



ბავშვები III

011491



011492




011493



011484



011490



011536



ინსპირაცია თამარ მეფის სამოსიდან
INSPIRED BY THE ATTIRE OF KING TAMAR

011535



ინსპირაცია რატი სურამელის სამოსიდან
INSPIRED BY THE ATTIRE OF RATI SURAMELI

New Collection
SAMOSI

ZARAPKHANA

SINCE

— 1939 —

2022